შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საბროკერო კომპანია ქართუ ბროკერი“-ის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგებები 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი
დოლიძის ქ. 2
თბილისი, საქართველო
ტელ.: (995) (32) 36 33 11
ფაქსი: (995) (32) 36 44 55
ელ-ფოსტა: info@fmg.ge

FINANCIAL MANAGEMENT GROUP LTD
2 Dolidze Str.
Tbilisi, Georgia
tel.: (995) (32) 36 33 11
fax: (995) (32) 36 44 55
e-mail: info@fmg.ge

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ შპს „საბროკერო კომპანია ქართუ ბროკერი"-ს თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს საბალანსო უწყისს 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული მოგებისა და ზარალის, ფულადი სახსრების მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების უწყისებს. აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის და ასევე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და სხვა ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოკლე მონახაზს. დასკვნაში 2013 წლის 31 დეკემბრის მგომარეობით არსებული ნაშთები, მოცემულია წინა წლის აუდიტორული შემოწმების შედეგად წარმოდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემულ გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. არსებული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების შემუშავებისთვის, მაგრამ არა ორგანიზაციას შიდა კონტროლის ეფექტურობაზე დასკვნის გაკეთების მიზნით, აუდიტორი რისკის შეფასებისას ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემებს, რომლებიც საჭიროა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის. აუდიტი ასევე ითვალისწინებს გამოყენებული ბუღალტრული პოლიტიკისა და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული შეფასებების შესაფერისობის შეფასებასა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას მთლიანობაში.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტისას მოვიპოვეთ აუდიტის დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

დასკვნა

ჩვენი აზრით წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს შპს „საბროკერო კომპანია ქართუ ბროკერი"-ის ფინანსურ მდგომარეობას 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური მართვის ჯგუფი

31 მარტი, 2015 წელი

თბილისი, საქართველო

აქტივები		**31.12.2013**	**31.12.2014**
ფული და ფულადი ექვივალენტები	**3**	11 813	185 615
თანხები სხვა საბანკო ანგარიშებზე	**3**	386 769	418 012
დებიტორული დავალიანება	**4**	400	400
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	**4**	425	420
წინასწარ გადახდილი გადასახადები		79	147
ჯამურად მიმდინარე აქტივები		**399 486**	**604 594**
ძირითადი საშუალებები	**5**	50	915
გადავადებული საგადასახადო აქტივი		5 905	2 573
გრძელვადიანი ინვესტიციები	**6**	2 725	2 725
ჯამურად გრძელვადიან აქტივები		**8 680**	**6 213**
სულ აქტივები		**408 166**	**610 807**
ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	**7**		33 842
გადასახდელი ხელფასები		365	214
სხვა დარიცხული ვალდებულებები	**8**	218	288
ჯამურად მოკლევადიანი ვალდებულებები		**583**	**34 344**
სულ ვალდებულებები		**583**	**34 344**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		430 000	580 000
გაუნაწილებელი მოგება / დაუფარავი ზარალი		-22 417	-3 537
სულ კაპიტალი		**407 583**	**576 463**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**408 166**	**610 807**

_____

გენერალური დირექტორი
გიორგი ნასიბაშვილი

31 მარტი, 2015
თბილისი, საქართველო

	შენიშვნა	12 თვე 2013 წ.	12 თვე 2014 წ.
შემოსავლები მომსახურებიდან		50	213
მთლიანი მოგება		**50**	**213**
პერსონალის შენახვის ხარჯები		(17 550)	(17 550)
საიჯარო ქირა		(4 858)	(3 634)
ძირ. საშუალებების ცვეთა და ამორტიზაცია		(5)	(20)
ბირჟის მომსახურების ხარჯი		(1 206)	(1 495)
ცენტრ. დეპოზიტარის მომსახურების ხარჯი		(309)	(327)
აუდიტორული მომსახურების ხარჯი		(500)	(500)
კომუნიკაციის ხარჯები		(194)	(228)
ბანკის მომსახურების ხარჯი		(44)	(56)
სხვა საგადასახადო ხარჯი			(5)
სხვა სამეურნეო ხარჯი		(795)	(758)
სულ საოპერაციო ხარჯები		**(25 461)**	**(24 573)**
უარყოფითი კურსთაშორის სხვაობა		(3 290)	(24 167)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები			(1)
დადებითი კურსთაშორის სხვაობა		16 432	52 800
საპროცენტო შემოსავალი		20 011	17 940
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი		**33 153**	**46 572**
მოგება დაბერგვრამდე		**7 742**	**22 212**
მოგების გადასახადი		(1 161)	(3 332)
წმინდა მოგება		**6 581**	**18 880**

_____

გენერალური დირექტორი
გიორგი ნასიბაშვილი

31 მარტი, 2015
თბილისი, საქართველო

ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისი	31.12.2013	31.12.2014
1. ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
საბროკერო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	50	213
მიღებული /გაცემული ავანსები	(260)	33 842
გაცემული ხელფასები	(13 795)	(14 192)
გადახდილი გადასახადები	(3 449)	(3 548)
საოპერაციო ხარჯები	(1 559)	(1 748)
მომსახურებაზე გაწეული ხარჯები	(6 403)	(5 210)
შეძენილი ძირითადი საშუალებები	(51)	(885)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	**(25 467)**	**8 472**
2. ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი	20 011	17 940
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	**20 011**	**17 940**
3. ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
კურსთაშორის სხვაობით მიღებული შემოსავალი ნეტო	13 142	28 633
საწესდებო კაპიტალის გაზრდა	110 000	150 000
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(1)
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან	**123 142**	**178 632**
ფულისა და ექვივალენტების წმინდა ცვლილება	**117 686**	**205 044**
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	280 897	398 583
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	**398 583**	**603 627**

_____

გენერალური დირექტორი
გიორგი ნასიბაშვილი

31 მარტი, 2015
თბილისი, საქართველო

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	ჯამურად
ნაშთი 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**320 000**	**(28 997)**	**291 003**
პერიოდის წმინდა მოგება		6 580	**6 580**
საწესდებო კაპიტალის გაზრდა / შემცირება	110 000		**110 000**
ნაშთი 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**430 000**	**(22 417)**	**407 583**
პერიოდის წმინდა მოგება		18 880	**18 880**
საწესდებო კაპიტალის გაზრდა / შემცირება	150 000		**150 000**
ნაშთი 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**580 000**	**(3 537)**	**576 463**

_____

გენერალური დირექტორი
გიორგი ნასიბაშვილი

31 მარტი, 2015
თბილისი, საქართველო

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა

შპს „საბროკერო კომპანია ქართუ ბროკერი“ (შემდგომში ”ორგანიზაცია”) დაფუძნდა 1999 წლის 24 ივნისს, მარეგისტრირებელი ორგანო არის ვაკე-საბურთალოს რ-ნის სასამართლო, რეგისტრაციის #5/4-2084, მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი 204929970, იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ი. ჭავჭავაძის გამზ., №39ა. ორგანიზაციის 100%-იანი დამფუძნებელია ბანკი ქართუ (ს/კ 204891652).

ორგანიზაციის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა.

2. წარდგენის საფუძველი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

ორგანიზაციას თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (“ბასს”) მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (“ფასს”) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის (“ფაისკ”) მიერ გამოცემული ინტერპრეტაციების შესაბამისად.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

3.1 ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და შეფასება

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარება ხდება გარიგების თარიღის მდგომარეობით.
ფინანსური აქტივების და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხდება სამართლიან ღირებულებას პლუს, თუ ფინანსური აქტივი ან ვალდებულება არ არის სამართლიანად ასახული მოგება-ზარალის გატარებით, ის დანახარჯები რომლებიც უშუალოდ მიეკუთვნება ფინანსურ აქტივთან და ვალდებულებასთან დაკავშირებულ გარიგებას. აღნიშნული აქტივების და ვალდებულებების გადაფასების პოლიტიკა აღწერილია ბუღალტრული აღრიცხვის ქვემოთ მოყვანილ პრინციპებში.

3.2 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს.

3.3 მოთხოვნები ბანკების მიმართ

თავისი ჩვეული საქმიანობის პროცესში ორგანიზაცია განათავსებს სახსრებს და ახორციელებს შენატანებს ბანკებში სხვადასხვა ვადებით. მოთხოვნები ბანკების მიმართ თავდაპირველად აისახება სამართლიანი ღირებულებით. შემდგომში მოთხოვნები ბანკების მიმართ აისახება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

3.4 დებიტორები

დებიტორული დავალიანება ძირითადად შედგება კონტრაგენტებთან განთავსებული თანხებისგან რომლითაც ჯერ არ განხორციელებულა ვაჭრობა, ასევე ბანკში არსებული დეპოზიტების პროცენტებისგან და კონტრაგენტებთან განხორციელებული ტრანზაქციების საკომისიოებისგან, რომელსაც კომპანია აღიარებს შემოსავლად.

3.5 ძირითადი საშუალებები და ცვეთა

ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა. ისტორიული ღირებულება მოიცავს თანხებს, რომლებიც გაწეულია ამ აქტივების შეძენაზე. შემდგომი ხარჯები აისახება აქტივის შესაბამის მუხლებში ან ხდება მათი აღრიცხვა (აღიარება) ცალკეულ აქტივად იმ შემთხვევაში, თუ ნათელია, რომ მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება შესაძლებელია. აქტივების რემონტისა (შეკეთებისა) და შენახვის ღირებულება აისახება შემოსავლების უწყისში მათი წარმოჩენის პერიოდების მიხედვით.

კომპანიის ბალანსზე არსებული არამატერიალური აქტივების ცვეთა გამოიქვითება აქტივების საბალანსო ღირებულებიდან და გამოიყენება აქტივების ჩამოსაწერად მათი ექსპლუატაციის ვადის ამოწურვამდე. აუდიტის პროცესში კომპანიის ბალანსზე არსებული არამატერიალური აქტივები სრულად იყო გაცვეთილი

როდესაც ხდება ქონების ჩამოწერა ან სხვა სახით ცვლილება, ღირებულება და ცვეთა გადაიტანება ფინანსური ანგარიშგებიდან და ამასთან დაკავშირებული ყველა სახის მოგება ან ზარალი აისახება შემოსავლების უწყისში.

3.6 კრედიტორული დავალიანება

კომპანიის ბალანსზე არსებულ კრედიტორულ დავალიანებად კომპანია აღიარებს იმ თანხებს, რომელსაც კომპანიის საბანკო ანგარიშზე რიცხავს მომხმარებელი, შემდგომში ამ თანხებით ვაჭრობის ან სხვა მიზნით. კრედიტორული დავალიანების ძირითადი ნაწილი შედგება კლიენტებთან წარმოქმნილი ფულადი ვალდებულებებისგან.

3.7 კაპიტალი

კაპიტალი მოიცავს საკუთარ კაპიტალსა და გაუნაწილებელ რეზერვებს.

დივიდენდი აღიარდება როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი გაცემა გამოცხადებული იყო ბალანსის შედგენის თარიღისათვის.

3.8 მოგების გადასახადი

აუდიტირებადი პერიოდისათვის საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით მოგების გადასახადი 15%-ს შეადგენს.

მოგების გადასახადის გამოთვლა ხდება მოცემული პერიოდებისათვის შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მონაცემებზე დაყრდნობით და მენეჯმენტის გათვლებზე დაყრდნობით საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის გათვალისწინებით. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით საგადასახადო ზარალის გადავადება ხდება 5 წლის განმავლობაში.

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე და გადავადებული გადასახადების ხარჯების ჯამს. მიმდინარე გადასახადის ხარჯი გამოითვლება წლის დასაბეგრი მოგებიდან. დასაბეგრი მოგება განსხვავდება წმინდა მოგებისაგან, რომელიც ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშში, ვინაიდან ის არ მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების იმ ნაწილს, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას ან გამოქვითვას წინა წლებში და აგრეთვე იმ ხარჯებს, რომელიც საერთოდ არ ექვემდებარება დაბეგვრას ან გამოქვითვას. ორგანიზაციას მიმდინარე გადასახადის ხარჯი გაანგარიშებულია იმ საგადასახადო განაკვეთით, რომლებიც მოქმედებდა ანგარიშგების პერიოდისათვის.

გადავადებული გადასახადი არის გადასახდელი ან გამოსაქვითი გადასახადი, რომელიც წარმოიქმნება ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივების და ვალდებულებების ნარჩენ ღირებულებათა შორის სხვაობიდან მიღებული დასაბეგრი ბაზის საფუძველზე და საბალანსო უწყისში აისახება ვალდებულების მეთოდის გამოყენებით. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები ჩვეულებრივ აღიარებას ექვემდებარება ყველა დროებითი სხვაობისათვის, ხოლო გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარებას ექვემდებარება იმდენად, რამდენადაც არსებობს საფუძვლიანი მოლოდინი იმისა, რომ იარსებებს დასაბეგრი მოგება, რომლის

მიმართაც გამოყენებული იქნება არსებული დროებითი სხვაობა. აქტივების და ვალდებულებების აღიარება არ ხდება, თუ დროებითი განსხვავება გამოწვეულია აქტივების და ვალდებულებების პირველადი აღიარებით იმ ოპერაციებში, რომლებიც ზემოქმედებას არ ახდენს როგორც საგადასახადო მოგებაზე ასევე საბუღალტრო მოგებაზე.

3.9 საშემოსავლო გადასახადები

მიღებული ინფორმაციის შესწავლამ აჩვენა, რომ ორგანიზაციის მიერ საშემოსავლო გადასახადების გამოანგარიშებისა და დეკლარირების ნაწილში აუდიტირებად პერიოდში უზუსტობებს ადგილი არ ჰქონია, დეკლარაციები შევსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის დაცვით და საგადასახდო ინსპექციაში წარდგენილია დროულად.

3.10 შემოსავლები

კომპანიის შემოსავლების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით, მომხმარებლისთვის გაწეული საბროკერო მომსახურების გაწევის დროს. სხვადასხვა კონტრაგენტებთან აქციების ყიდვა-გაყიდვის მოცულობის პროპორციულად. თითოეულ კლიენტთან გაფორმებული ხელსეკრულება განსაზღვრავს საკომისიოს მოცულობას, რომელსაც კომპანია იღებს მომხმარებლისგან გაწეული საბროკერო მომსახურებისთვის საფასურად.

საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით და აისახება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი, წარმოადგენს მეთოდს, რომელიც ეფუძნება ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების და ან ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზირებულ ღირებულებას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების გადახდების, ან შემოდინების დისკონტირებას ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების წმინდა მიმდინარე ღირებულებამდე ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო სასარგებლო მოხმარების პერიოდის ამოწურვამდე, ან თუ მისაღებია, უფრო მოკლე ვადაში.

3.11 ხარჯები

ორგანიზაცია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ.

3.12 უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება ქართულ ლარებში ოპერაციის დღისთვის დადგენილი კურსების შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში დომინირებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება ლარებში ფინანსური ანგარიშგების შედგენის დღეს არსებული გაცვლითი კურსების შესაბამისად. საკურსო სხვაობებიდან მირებული ფინანსური შედეგი აისახება იმ პერიოდის მოგება–ზარალის ანგარიშგებაში როდესაც ის წარმოიშვა.

ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ორგანიზაციამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31 დეკემბერი 2013	31 დეკემბერი 2014
ლარი/1 აშშ დოლარი	1.7363	1.8636

შენიშვნა - 3 - ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში
და უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში

	31.12.2013		31.12.2014	
	ბროკერის ანგარიშები	კლიენტების ანგარიშები	ბროკერის ანგარიშები	კლიენტების ანგარიშები
სს "თიბისი ბანკი"	2			
სს "ბანკი ქართუ" /ანაბარი/	397 297		108 288	
სს "საქართველოს ბანკი"	29		80	
სს "ბანკი ქართუ"	1 255		461 417	33 842
	398 583	**0**	**569 785**	**33 842**

შენიშვნა - 4 - სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	**31.12.2013**	**31.12.2014**
მიმდინარე საგადასახადო აქტივი	402	402
სხვა გადასახადი	23	18
სულ მოკლევადიანი მოთხოვნები	**425**	**420**

შენიშვნა - 4 - სხვა წინასწარ გაწეული ხარჯი	**31.12.2013**	**31.12.2014**
გაწეული ინტერნეტის ხარჯი	47	49
გაწეული ტელეფონის ხარჯი	32	98
სულ სხვა წინასწარ გაწეული ხარჯი	**79**	**147**

შენიშვნა 5- ძირითადი საშუალებები

	საოფისე ინვენტარი	ჯამურად
საწყისი ღირებულება		
ბალანსი 31/12/2013	1 449	1 449
დანამატები	885	885
აქტივების ჩამოწერა		0
		0
ბალანსი 31/12/2014	2 334	2 334
აკუმულირებული ცვეთა		
ბალანსი 31/12/2013	(1 398)	(1 398)
ცვეთა პერიოდისათვის	(20)	(20)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	-
ბალანსი 31/12/2014	(1 418)	(1 418)
წმინდა ღირებულება		
ბალანსი 31/12/2013	**51**	**51**
ბალანსი 31/12/2014	**916**	**916**

შენიშვნა - 6 - გრძელვადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში

საწარმოს გააჩნია გრძელვადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში (მ.შ. სს "საქართველოს საფონდო ბირჟა" – 2 700 ლარის და სს "კავკასრეესტრი" - 25 ლარი) თანხით - 2 725 ლარი.

შენიშვნა 7 - გადასახდელი გადასახადები	**31.12.2013**	**31.12.2014**
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	61	23
სულ გადასახდელი გადასახადები	**61**	**23**

შენიშვნა 8 - სხვა დარიცხული ვალდებულებები	**31.12.2013**	**31.12.2014**
სს "საქართველოს საფონდო ბირჟა"	100	230
სს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრ.დეპოზიტარი"	25	25
სს"სილქნეტი", შპს"მაგთიკომი"	32	8
სულ დარიცხული ვალდებულებები	**157**	**263**

შპს „საბროკერო კომპანია ქართუ ბროკერი“-ს ინფორმაცია კლიენტების რაოდენობაზე და კლიენტების ტრანზაქციების ჯამურ მოცულობაზე

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება #34/01-ის თანახმად, "საბროკერო კომპანიის ლიცენზირების, კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრისა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის წესის" მუხლი 11-ის მე-4 პუნქტის "ვ" და "ზ" ქვეპუნქტების მიხედვით:

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბროკერო კომპანია მოემსახურა 12 კლიენტს.

ტრანზაქციების ჯამური მოცულობა მოცემულ პერიოდისათვის შეადგენს 1213 ცალ აქციას, 38815 ლარს და 5954,53 აშშ დოლარს.

_____

გენერალური დირექტორი
გიორგი ნასიბაშვილი

31 მარტი, 2015
თბილისი, საქართველო